ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან შაბათი, 15 ივნისი 1996 № 50 (275) ფასი 30 თეთრი

# გავა, არ გავა?

## საკი-თხა-ვი აი ეს არის



### ჩეხეთი 2:1 იტალია

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | კოუბა | 1 | პერუცი |
| 2 | ლატალი | 2 | აპოლონი |
| 5 | კადლეცი | 3 | მალდინი |
| 15 | ჰორნიაკი | 5 | კოსტაკურტა |
| 3 | სუხოპარეკი | 8 | მუსი |
| 13 | ბეიბლი | 11 | ბაჯო |
| 7 | ნემეცი | 7 | დონადონი |
| 8 | პობორსკი | 17 | ფუზერი |
| 14 | ბერგერი | 10 | ალბერტინი |
| 9 | კუკა | 19 | კიეზა |
| 4 | ნედვედი | 20 | რავანელი |

შეცვლა: ბაჯო — 4 კარბონი (39), რავანელი — 18 კაზირაგი (62), ბერგერი — 17 სმიჩერი (65), კიეზა — 21 ძოლა (77), ლატალი — 6 ნემეჩეკი (88)

გაფრთხილება: აპოლონი, სუხოპარეკი, ლატალი, კუკა, კადლეცი, ფუზერი

გაძევება: აპოლონი

1:0 ნედვედი (5), 1:1 კიეზა (18), 2:1 ბეიბლი (35)

მსაჯი: ა. ლოპეს ნიეტო (ესპანეთი)

ზურაბ ფოცხვერია, დავით კაკაბაძე
ლივერპულიდან

**14 ივნისი. „ენფილდ როუდი“**

დებიუტი ძალიან ჰგავდა გუშინდელი მატჩისას. ოღონდ, თუ ტოლძალოვანი გუნდების, ბულგარეთისა და რუმინეთის შეხვედრაში მესამე წუთზე გატანილი ბურთი დიდად გასაკვირი არ იყო, იტალია — ჩეხეთის მატჩის მე-5 წუთზე პერუცის პატივაყრილ კარს ვერავინ წარმოიდგენდა. თუმცა, არა. იტალიაში იყო ერთი ადამიანი, ვინმე მჩხიბავი, რომელიც კარგა ხნის წინ ამბობდა, საკი ჭკუას დანაყავს, შემადგენლობას ოპტიმალურად ვერ გაითვლის და წააგებსო. შემთხვევითობაა თუ რა? ძნელი სათქმელია, მაგრამ ერთი რამ ფაქტია: იტალია დამარცხდა. წაუგებელი, აბა, ვინ ყოფილა და, არც აპენინელები იყვნენ მარცხისგან დაზღვეულნი. ისიც ხომ მართალია, რომ წაგების არარსებობის შემთხვევაში მოგებას აზრი დაეკარგება, მაგრამ წაგებაც არის და წაგებაც. ასეთი წაგებისგან არც უნდა სწავლობდე, რადგან სწავლის პერიოდი ამხანაგურ მატჩებსა და, ჰა-ჰა, შესარჩევ ტურნირზე მოდის. ევროპის ჩემპიონატზე კი ფავორიტი რომ აგებს, ამას შეჯიბრებაში ინტრიგა კი შეაქვს, მაგრამ, მეორეს მხრივ, შესაძლოა, გაიძულონ, დაიხურო ქუდი და წახვიდე სახლში. მაინც რა იყო იტალიელთა წაგების მიზეზი, მხოლოდ ჩეხთა კარგი თამაში თუ კიდევ სხვა რამ? ცოტა სხვაც, მეტი რომ არა ვთქვათ და ჩეხების მოგება არ დავაკნინოთ.

დაუწერელი კანონია ფეხბურთში: წაუგებელი შემადგენლობა არ იცვლება. იტალიელთა მწვრთნელს არიგო საკის ამ კანონის არცოდნას ვერავინ დააბრალებს, იგნორირებას კი ხშირად უკაყიხებენ და ამ თამაშზეც მის კრიტიკოსებს საამისო მიზეზი საკმაოდ ჰქონდათ. ნუ განვსჯით იმას, სჯობდა თუ არა ჩემპიონატზე 20 წლის ნესტას წაყვანას თუნდაც ბებერი ბარეზის ან პანუჩის. იქნებ ბენარივოს იმედად ყოფნა. ნურც იმას ვიტყვით, ამერიკის ახალფეხადგმულ საფეხბურთო ლიგაში მოთამაშე დონადონის ნაცვლად სინიორის, რობერტო ბაჯოს ან სულაც საკის მაგინებელი ვიალის ალბიონის მინდვრებზე წასხმა უფრო უპრიანი იქნებოდაო. ვთქვათ მხოლოდ ერთი და ამით მოვრჩეთ მკითხაობას. საკიმ რუსების კარის ორგზის დამლაშქრავი კაზირაგი ძირითადში არ დააყენა, ამავე თამაშის ბედის გამჩარხავი ჯანფრანკო ძოლა კი მატჩის ბოლოსღა შეიყვანა შეცვლაზე. შევეშვათ იმასაც, რომ დი ლივიო ამ შეხვედრის წინ დინო ბაჯოთი შეცვალა, რომელიც ისევე როგორც ორი წლის წინ რობერტო, უმცირესობაში მოხვედრილმა სკამზე დასვა.

მაშინაც და ეხლაც იტალიელთა მწვრთნელმა შამპანიურის ხათრით გარისკა, ოღონდ ამჯერად თავიდანვე და ერთ წყალში მეორედ ველარ გაიარა.

იმას ვერ ვიტყვით, სინიორ არიგომ პან დუშან-კარელები ჯეროვნად ვერ დააფასა და ამიტომაც წააგო, მაგრამ ფაქტია, ძოლაგამოკლებული იტალიელები ისე აწყობილად, დამთრგუნველადაც კი, ველარ უტევდნენ, როგორც რუსეთთან. ისე კი, იტალიელთა მწვრთნელს ალღომ ერთ რამეში მაინც არ უმტყუნა: მას შემდეგ, რაც კაზირაგიმ განაცხადა, თავდამსხმელთა თანაბრად ძლიერი კვარტეტი გვყავს და კარგი იქნება, ერთმანეთს თუ შევენაცვლებითო, საკიმ მის მაგივრად გამოიყვანა კიეზა, რომელმაც თავის მეორე მატჩში ნაკრებში ბრწყინვალე გოლი გაიტანა. თუმცა, მანამდე ჩეხთა არანაკლებ შთამბეჭდავი შეტევა დაგვირგვინდა გოლით და ჩვენც აქედან მივყვეთ. მას შემდეგ, რაც მე-4 წუთზე ენრიკო კიეზამ მეტოქის მეკარე კოუბას ვერ აჯობა, წუთიც არ გასულიყო. ჩეხებმა ფლანგური შეტევა განავითარეს და მარჯვენა ფრთაზე პობორსკიმ მალდინის დაფარება არ აცალა, ფეხსქვემოთ გაუქრა ნედვედს ბურთი და ამან კოსტაკურტასაც დაასწრო და პერუცის კარში დარტყმაც არ დაახანა. ანგარიშიც გაიხსნა — 1:0. ამ ეპიზოდს მალე აპოლონის გაფრთხილება მოჰყვა. აბა, ვინმესთვის ყვითლის ჩვენება ცალკე რა მოსატანი იქნებოდა ჩვეულებრივ სიტუაციაში, მაგრამ პარმელმა მეორე გაფრთხილებაც მალე მიიღო და ტრიბუნაზე ამოვიდა. მანამდე კი ჩეხებმა თითქმის იმავე ტრაექტორიით შეუტიეს, ოღონდ, ამჯერად მალდინი კიდევ უფრო საცოდავად გააბითურა პობორსკიმ და წინანდებურადაც ჩააწოდა, მაგრამ საჯარიმოდან გამოვარდნილი ბურთი ნემეცმა უმარტივეს სიტუაციაში დაჰკარგა, რასაც ფუზერის შეტევა და კიეზას მისამართით შესანიშნავი პასი მოჰყვა. როგორც გითხარით, „სამპდორიას“ თავდამსხმელმა არავინ გააწბილა და ორ მცველსა და მეკარეს ქვემოთ დარჩენილ „სარდაფში“ გაატარა ბურთი, რომელმაც ჩეხთა კარის ბადე შეარხია და ანგარიში გაათანაბრა. ანგარიში კი გათანაბრდა, მაგრამ თამაში, თითქოსდა უფრო სხვაგვარი უნდა ყოფილიყო, რადგან აპოლონი მალე მიაბრძანა კიეველთა დამაქცევარმა ანტონიო ლოპეს ნიეტომ და იტალია ტრადიციადქცეული წესისამებრ რიცხობრივ უმცირესობაში დარჩა. მიუხედავად ამისა, იტალიელებმა მაინც შეტევა აჯობინეს და ერთი პირობა არც კი შეიმჩნიეს რიცხვმცირობა. თუმცა, აპოლონის გაძევებიდან 5 წუთში კუკამ კვლავ მალდინიზე გავლით ბეიბლს ჩააწოდა, რომელმაც პერუცის შორეულ კუთხეში გაუტანა. ეს უკვე მეტისმეტი იყო და, ალბათ, თავად ჩეხებიც არ ელოდნენ ამას. ისინი დამშვიდდნენ, თამაშსაც უფრო დაატყვეს ხელი და ტაიმი ბოლომდე მშვიდობიანად ჩაამთავრეს. მეორე გაშვებული გოლის მერე საკიმ დინო ბაჯო კარბონეთი შეცვალა და უაპოლონოდ დარჩენილ დაცვას წააშველა. მალდინი ცენტრში გადავიდა, კარბონე კი მარცხენა ფლანგზე შევარდა ეინმორეული. მისმა სისხლიანმა თამაშმა ამ ფრთაზე ჩეხებს ნაკლები გასაქანი მისცა და კუკამ და

### „სარბიელის“ რჩეული

**24 წლის კარელ პობორსკიმ ნედვედს ხომ ბრწყინვალე პასი მისცა მე-5 წუთზე, რითაც ჩეხებმა იხეირეს, სხვა მომენტებშიც პაოლო მალდინის, რომელიც მის ფლანგზე თამაშობდა, ისეთი დღე აყარა, ჯერაც რომ არ დასიზმრებია. ჩეხთაგან ტექნიკით ყველაზე გამორჩეულმა მთელი მატჩის მანძილზე გააზრებული თამაშითა და საოცრად გათვლილი გადაცემებითაც ალგვაფრთოვანა. 18-ე წუთზე მალდინი და აპოლონი ისე სამაცხვინოდ დასცა თავის ფრთაზე, რომ ამ პირველი თავბრუდამხვევი შეტევებისგან იტალიელთა დაცვის ლიდერი მთელი ტაიმის განმავლობაში ვერ გამოფხიზლდა. პობორსკიმ მეორე ნახევარშიც ბევრჯერ მოუნახა გასალები გალავანმორღვეულ დაცვას. კუთხური და ჯარიმებიც ისე ოსტატურად შეასრულა, იტალიელები ყოველწამს საფრთხის მოლოდინში ამყოფა. მშვენივრად მოთამაშე ჩეხებისგან ხომ ულაპარაკოდ გამოირჩეოდა, იტალიელთაგან საუკეთესოს ალბერტინისაც, სულ მცირე, ერთი თავით აჯობა.**

**ხსვისი არ ვიცით, მაგრამ ჩვენ კი იმ აზრზე ვართ, რომ თუ კანჩელსკისმა მსოფლიოს მცველთან ლირსეულად და თანაბრად ითამაშა, პობორსკი — მალდინის ბრძოლას ნამდვილად უთანასწორო ეთქმოდა. გუშინ მართლა მისი დღე იყო და არა მალდინისა. ყველას როდი ძალუძს იტალიელებთან მოგებითა და მათი კაპიტნის გაბიაბურებით დაიკვეხნოს.**





პირველი გოლის ავტორი პაველ ნედვედი

პობორსკიმ ახლა ცენტრიდან დაუწყეს ქამიდანქამ იტალიელებს ჩხვლეტა. თუმცა, არც იტალიელები იყვნენ უსაქმოდ. ისინი მიხვდნენ, რომ დასაკარგი არაფერი ჰქონდათ და ლამის მთელი გუნდით შეუტიეს, მაგრამ ვერც დონადონიმ ივარგა ორგზის, ვერც შეცვლაზე შემოსულმა კაზირაგიმ, ვერც კიეზამ დაარტყა უწინდებური სიზუსტით და ვერც მალდინიმ მოახერხა დაცვაში დაშვებული შეცდომების შეტევაში ხშირი ჩართვებით გამოსწორება. ჩეხთა 5-კაციანი დაცვა, რომლის ბურჯი მიროსლავ კადლეცი გახლდათ, საკმარისად კი ცდებოდა, მაგრამ ერთმანეთს თავგამოდებით აზღვევდნენ, იტალიელთათვის გოლის გატანის საშუალება რომ არ მიეცათ. არადა, თამაშის ბოლო წუთებზე უხეშად მაინც შეცდნენ, უფრო სწორად, კი არ შეცდნენ, ძოლამ მიაწოდა გენიალური პასი მეკარესთან პირისპირ დარჩენილ კაზირაგის, რომელსაც ჩეხები ვერაფერს მოუხერხებდნენ, წინა მატჩის გმირს პიერლუიჯი კაზირაგის კვლავაც რომ ევარგა. იგი ბეიბლს გასცდა, ბურთი მკერდით შეიგდო, ძლიერი დარტყმით მეკარესაც გადაატარა თავზე, მაგრამ... კარსაც. ეს იყო იტალიელთა ბოლო შანსი ამ შეხვედრაში, რომელიც მათ ვერ გამოიყენეს. ვნახოთ, გამოიყენებენ თუ არა მეოთხედფინალში გასვლის ჯერ კიდევ დარჩენილ თეორიულ შანსს. ისე კი, მომდევნო მეტოქე „არანაკლებ“ ძლიერია. მეტი რომ არ ვთქვათ, თავად ჩეხეთის მძლეველი გერმანია.

დასაწყისში ბულგარეთ — რუმინეთის მატჩი ვახსენეთ და აქვე ისიც უნდა ვთქვათ, რომ გუშინწინ სიჩქარეში უსწოროდ გავთვალეთ რუმინელთა შანსები და მკითხველი შეცდომაში შევიყვანეთ. რუმინელებმა ესპანეთთან დარჩენილ შეხვედრაში რომც მოიგონ, მაინც არაფერი ეშველებათ, რადგან ბულგარეთმა უკვე მოაგროვა ის 4 ქულა, რომელიც ჯგუფში ან პირველ, ან მეორე ადგილზე გაიყვანს. იმ შემთხვევაში, თუ საფრანგეთი ესპანეთთან ან ბულგარეთთან 1 ქულას მაინც აიღებს, რუმინეთს წინ მოექცევა, ხოლო თუ ამას ვერ მოახერხებს, მაშინ ესპანეთი იხეირებს და 4 ქულა დაუგროვდება. ერთი სიტყვით, 3 ქულა ამ ჯგუფიდან გამსვლელი აღარ არის, რადგან ესპანეთ — საფრანგეთს შორის ერთ-ერთი აუცილებლად ამაზე მეტს აგროვებს.

# მუსლიმებს ევროპა ცივად შეხვდა

### პორტუგალია 1:0 თურქეთი

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | ბაია | 22 | რუსთუ |
| 5 | კოუტუ | 2 | რეჯეფი |
| 13 | დიმაში | 3 | ალფაი |
| 15 | ჰელდერი | 8 | ოგიუნი |
| 3 | სანტუში | 4 | ვედათი |
| 10 | კოშტა | 5 | თუგაი |
| 19 | სოუზა | 10 | ოგიუზი |
| 20 | ფიგუ | 16 | სერგენი |
| 8 | პინტუ | 17 | აბდულა |
| 9 | სა პინტუ | 9 | ჰაქანი |
| 18 | ფოლია | 14 | საფეთი |

შეცვლა: ოგიუნი — 13 რაჰიმი (46), ფოლია — 6 ტავარეში (46), საფეთი — 19 თოლუნაი (63), სა პინტუ — 11 კადეტე (66), ოგიუზი — 18 არიფი (70), პინტუ — 17 პორფირიუ (74)

გაფრთხილება: აბდულა, სანტუში, ფიგუ, ვედათი, ტავარეში, თოლუნაი

1:0 კოუტუ (67)

მსაჯი: შ. პული (უნგრეთი)

**14 მაისი.**

**ნოტინგემი. „სიტი გრაუნდი“**

30-ათასიანი „სიტი გრაუნდის“ სტადიონი 98 წლის წინ აუშენებიათ ნოტინგემში მდინარე ტრენტის მარჯვენა ნაპირზე, მაგრამ 97 წლის მანძილზე ოდენ საკლუბო გუნდების საბურთაო ადგილი ყოფილა. პირველი მატჩი ნაკრებებს შარშანლა უთამაშიათ (შვედეთი — იაპონია). ეს ოხერი ტრენტი 1947 წელს ისე ადიდებულა, თურმე სტადიონზე ხარიხები აღარ ჩანდა. ალბათ იმ წყალდიდობის მერეა, რომ სტადიონზე საკაცეებს ნავის ფორმა აქვთ და დაშავებულ ფეხბურთელს შიგ ჩაწვენილს არიდებენ მინდორს.

მატჩის წინ პორტუგალიელთა თავკაცმა ანტონიუ ოლივეირამ მედიას განუცხადა, კვლავაც დანიასთან მატჩის დარ ფეხბურთს ვითამაშებთ, ოღონდ საგოლე მომენტებს უფრო რაციონალურად გამოვიყენებთო. თურქებმა კი მედია სხვაგვარად მოთაფლეს: ვისაც არ დაეზარა, ყველა ჟურნალისტი მიიპატიჟეს და ლულა ქაბაბით ისე გამოაძღეს, ჩვენი კოლეგები თურმე კარგა ხანს არ სცილდებოდნენ თურქთა ბანაკს, სადაც გოლფის თამაშის უფლებაც კი მისცეს.

თამაშისწინა ამბებს იმასღა დავამატებ, რომ თურქი მცველი ალფაი „ფეირ-ფლეის“ კომისიამ ამ პრიზის უეჭველ კანდიდატად შერაცხა, აქაოდა, ხორვატი ვლაოვიჩის მოცელვა შეეძლო მისი საგოლე დრიბლინგის დროს და არ იკადრაო. თურქულმა პრესამ კი ლამისაა ალფაისთვის შაყის კვრა მოითხოვოს. „მილიეთმა“, ხალხნო და ჯამაათნო, ამ ალფაის საერთოდ რა უნდა ნაკრებშიო...

ერთნაირად შავგვრემან მეტოქეთა ამ მატჩში თავიდან ძნელი გასარკვევიც კი იყო, ვინ თურქი იყო, ვინ პორტუგალელი. მეხუთედან მერვე წუთამდე თურქებმა ოთხი

გაგრძელება იხილეთ მეორე გვერდზე

### მოკვეთილი

ჰოლანდიის ნაკრების მწვრთნელს გუს ჰიდინკს და „აიაქსიდან“ „მილანს“ მიმავალ ნაკრების წევრს ედგარ დევიდსს წუხელ მაგრად უჩხუბიათ. შედეგად, ჰიდინკმა დევიდსი დაიფრინა — გუნდიდან გააგდო. ჩხუბის დეტალები ჯერ არ ვიცით, მაგრამ ანაზად გაგვახსენდა მწვრთნელის სიტყვები, შოტლანდიასთან თამაშის შემდეგ რომ თქვა, ერთადერთი კაცი, ვინც თავს არ ზოგავდა დევიდსი იყო, მაგრამ რად გინდა, უტვინოაო. მეორე შეხვედრაში ჰიდინკმა ედგარი შეცვლაზე შეიყვანა, წუხელ კი...



ედგარ დევიდსი

# სკანდალი GOALIATH

## კოშტა, წაეთრიე არგენტინაში...

პორტუგალიელმა რუი კოშტამ „რეიტერს" განუცხადა, რომ მის ნაკრებს მაღალი კლასის ბომბარდირი აკლია. ამ ადგილზე „ფიორენტინას" ნახევარმცველმა თავისი არგენტინელი თანაკლუბელი გაბრიელ ბატისტუტა ინატრა. ამ განცხადებამ დიდი რისხვა გამოიწვია პორტუგალიელთა ბანაკში. ისეთი, რომ საბრალო რუი კოშტამ, ალბათ, ენა სულ დაიკბინა. ხუთშაბათს ნაკრების მწვრთნელმა ოლივეირამ საჯაროდ გამოლანძღა ფეხბურთელი:

„როცა რუი კოშტა ამას ამბობდა, იქ არ ვიყავი, მაგრამ თუკი მართლა ასე ფიქრობს, წაეთრიოს არგენტინაში, მიიღოს იქაური მოქალაქეობა და ბატისტუტასთან ერთად, რამდენიც უნდა, იმდენი ითამაშოს. ეს არ არის გონიერი კაცის სიტყვები. მე მას მოგვიანებით, ცალკე მოველაპარაკები."

ამასობაში პორტუგალიურმა პრესამ დაბეჭდა, რომ ნაკრების მეკარის ვიტორ ბაიას აგენტი ლუსიანუ დონოფრიუ გუნდის ვარჯიშზე მისულა და, მთავარი მწვრთნელის შენიშვნის მიუხედავად, ტერიტორია მაინც არ დაუტოვებია. ოლივეირამ ამას ასეთი კომენტარი დაურთო: „ეს არის საწვრთნელი ბანაკი, სადაც არ ვსვამთ, არ ვეწევით და არ ვიტყუებით. ჩვენ აქ იმიტომ არა ვართ, რომ ვინმეს რამე დავუმალოთ. იმ დღეს ღია ვარჯიში გვქონდა. ბატონ დონოფრიუსთან მეგობრული ურთიერთობა მაქვს. იგი მოვიდა, მომესალმა და დაბადების დღე მომილოცა. ტყუილია, თითქოს მას ტერიტორიის დატოვება მოვთხოვე. არც ისაა მართალი, თითქოს ვიტორ ბაიას თავის აგენტთან ნაკრების ვარჯიშისას ესაუბროს."



გაზა მარტო ერიკ კანტონა და დავიდ ჟინოლა არიან უბედურები ემე ჟაკეს ხელში? ვითომ რითაა მათზე ნაკლები მცველი ჟოსელინ ანგლომა, რომელსაც ჟაკემ რუმინეთთან მატჩი გამოატოვებინა და არც

# GOALIATH ქრონიკა

საფრანგეთი - ესპანეთი. შაბათი, 15 ივნისი. ლიდსი

## უადგილო ანგლომას ვნებანი

ხვალ ათამაშებს ესპანეთის წინააღმდეგ?

არადა, ანგლომა ერთადერთი ფეხბურთელია, ვინც ფრანგთა ნაკრებში შესარჩევ ტურნირში ყველა, ათივე მატჩი ითამაშა. „საოცარია, პირდაპირ" — თქვა ჟოსელინმა. — „ყველამ იცოდა, რომ რუმინეთთან უნდა მეთამაშა. ეს იყო პირველი მატჩი, რომლის გაცდენა არაფრის ფასად არ მინდოდა. მაგრამ ჟაკეს უცნაური იდეები მოსდის, კაცმა არ იცის, როდის რა მოუვლის თავში და არჩევანსაც იმის მიხედვით აკეთებს."

რუმინეთთან შეხვედრაში ჟაკეს იდეა ის იყო, ანგლომას ნაცვლად „მონაკოს" ლილიან ტურამი გამოეყვანა. ამანაც ითამაშა და, ძნელი სავარაუდოა, ჟაკემ იგი შეცვალოს. ანგლომაც ამას ჩივის: „უბედურება ისაა, რომ როცა გუნდი იგებს, მაშინ ძალზე ძნელია შენი კუთვნილი ადგილის დაბრუნება. მაგრამ, საბედნიეროდ, ფეხბურთში მოვლენები ძალზე სწრაფად იცვლება. მეც ვიცდი..."

დანია - ხორვატია. კვირა, 16 ივნისი. შეფილდი

## დანიას ხვალ ფრეც აწყობს



მიქაელ შენბერგი

დანიის ნაკრების 26 წლის თავდამსხმელი სიორენ ანდერსენი ევრო-96-ზე ბოლო წამს მოხვდა. ამისთვის მას ესპანეთში დაგეგმილი შვებულების გაუქმებაც მოუხდა. ხვალ კი სიორენი, ალბათ, ხორვატთა წინააღმდეგ დანიელთა თავდასხმას უხელმძღვანელებს. ანდერსენი შეცვლის მიქელ ბეკს, რომელმაც პორტუგალიასთან სუსტად ითამაშა. ამ სწრაფმა ფორვარდმა აქამდე ორჯერ ითამაშა ნაკრებში: 1992 წელს აშშ-სთან და ახლახან, ჩემპიონატის წინ, განის წინააღმდეგ.

მიოლერ-ნილსენს კიდევ ერთი ცვლილება გადაუწყვეტია — მარცხენა ფრთაზე იენს რისაგერის ადგილს მიქაელ შენბერგი დაიკავებს.

გუნდის მეკარის, შმაიხელის აზრით: „ხორვატიასთან ფრე, საკმაოდ კარგი იქნება. შემდეგ თურქეთს მოვუგებთ და მეოთხედფინალში გავალთ. მეორე წრეში ყველა გუნდი უკეთესი იქნება. ისინი უფრო ხარისხიანად ითამაშებენ. თვით პორტუგალიას, რომელიც უკვე შესანიშნავად თამაშობს, მეტის შემოთავაზება შეუძლია."

# ახალი შოტლანდიური ანეკდოტი:

## 22 ფეხი აქვს, ჭკუა კი გრამიც არა. რა არის? - ინგლისის ნაკრები

ზურაბ მექველია
ლონდონიდან



ჰოლანდია - შვეიცარია 2:0

ბირმინგემიდან ლონდონისკენ მომავალი ბოლო მატარებელი თამაშის დამთავრებიდან ერთ საათში გამოდიოდა, ამიტომ იძულებული გავხდი პრეს-კონფერენცია ნაადრევად მიმეტოვებინა. ახლა შევეცდები, ბირმინგემის რკინიგზის სადგურიდან გადმოცემულ წინა რეპორტაჟს ახალი ფაქტები დავამატო, თუმცა ხანამ თამაშზე გადავალ, ორიოდ სიტყვა გულშემატკივრებზე მინდა ვთქვა: ჩვენთან ერთად ბირმინგემ-ლონდონის მატარებელში ჰოლანდიელი და შვეიცარიელი გულშემატკივრები მგზავრობდნენ, ცხადია, პოლიციელთა თანხლებით. არ ვიცი, რას მივაწერო, მაგრამ რაც ჯერ აქ ვნახე, საათივით აწყობილი შვეიცარიიდან ჩამოსული ფანების მსგავსი უზრდელები არ შემხვედრია. მართალია, ჰოლანდიელებმა ისინი ყოველგვარი ჩხუბისა და შეხლა-შემოხლის გარეშე დააწყნარეს (ჩვენ მოგებულები ვართო — ომახიანად შესძახეს და გააჩუმეს), მაგრამ ლონდონის იუსტონის სადგურზე მატარებელი, შვეიცარიელთა წყალობით, საღორეს ჰგავდა.

ახლა თამაშზეც. ჯერ კიდევ დაწყებამდე ცნობილი იყო, რომ პირველი მატჩისგან განსხვავებით, ჯორდი კრუიფი მარჯვნივ ითამაშებდა, რამაც, საბოლოოდ, გაამართლა კიდეც. პარასკევის „დეილი სტარი" წერს: „ჭაბუკმა, რომელიც თავისთავს ჯორდის უწოდებს, გუშინ მოიპოვა უფლება კრუიფად შეირაცხოს. ასეთი გოლით თავის დროზე მამამისიც იამაყებდა." დიდი კრუიფი იმ დღეს „ვილა პარკზე" გახლდათ და სწორედ მის თვალწინ გაიტანა მემკვიდრემ თავისი პირველი საერთაშორისო გოლი. რაც შეეხება იმას, რომ უმცროს კრუიფს მაისურზე გვარის ნაცვლად სახელი აწერია, ამაზე თავად ჯორდიმ ასე უპასუხა:

ჰოლანდიურ ფეხბურთში მხოლოდ ერთი კრუიფია და ის მე არ ვარო.



ამ გამარჯვებამ ევროპის 1988 წლის ჩემპიონები, ფაქტიურად, მეოთხედფინალში გაიყვანა. ჰიდინკმა თქვა: „ახლა შემიძლია წყნარად ჩავჯდე სავარძელში, სიგარეტი გავაბოლო და ისე ვუყურო შაბათს ინგლისისა და შოტლანდიის მატჩს." ბერხკამპი კი ამბობს: „მართალია, მეოთხედფინალის საგზური თითქმის მოვიპოვეთ, „უემბლიზე" მაინც მოსაგებად ჩავალთ. ჩვენ არასდროს გვჩვევია მათემატიკური თვლა-ანგარიშები. რაც მთავარია, გოლი გავიტანეთ და ამან ყველა დაგვაწყნარა." ინგლის-შოტლანდიის მატჩზე კი „არსენალის" ჰოლანდიელმა ვარსკვლავმა განაცხადა: „მოიგებს ის, ვინც ნაკლებად აჰყვება იმ აჟიოტაჟს და ემოციებს, ამ მატჩს რომ ახლავს."

აჟიოტაჟი კი, იცოცხლეთ, ისეთია, ჭკუაზე მყოფს არავის დატოვებს. აბა, რა დღეში იქნება გესქოინი, ვისაც ინგლისური პრესა შვეიცარიელებთან თამაშის გამო დღემდე ლანძღავს." შოტლანდიელი ალი მაკკოისტის თქმით, გაზა ფსიქოლოგიურად გატეხვის ზღვარზეა. ომი ომად, მაგრამ კაცობა აქ ძალზე ფასობს. ამის მაგალითია თუნდაც ის წერილი, რომელიც გესქოინს მისმა რეინჯერსელმა თანაგუნდელებმა გაუგზავნეს. მაკკოისტი, გორამი, მაკკოლი და დიური ბარათში მოუწოდებენ გაზას, არ ინერვიულოს, ფეხებზე დაიკიდოს პრესის ავსიტყვაობა და ჩვეულად ითამაშოს. მაკკოისტმა ისიც განაცხადა, რომ „ბრეივჰართები" და ამგვარი სისულელეები მათ არად არგიათ: „განა „მამაცი გულების" იარლიყი ფინალში გაგვიყვანს?"

### რეიტერის თვალით

EURO 96 England

| ბულგარეთი | | რუმინეთი | |
|---|---|---|---|
| მიხაილოვი | 7 | სტელია | 6 |
| კიშიშევი | 7 | ბელოდედიჩი | 6 |
| ივანოვი | 8 | პეტრესკუ | 7 |
| იორდანოვი | 6 | პროდანი | 7 |
| ცვეტანოვი | 6 | შელმეში | 6 |
| ლეჩკოვი | 7 | პოპი | 9 |
| იანკოვი | 6 | პოპესკუ | 7 |
| ბალაკოვი | 7 | ლუპესკუ | 6 |
| კოსტადინოვი | 7 | მუნტიანუ | 8 |
| სტოიჩკოვი | 8 | ლეკატუში | 6 |
| პენევი | 7 | რადუჩოიუ | 6 |
| **ჰოლანდია** | | **შვეიცარია** | |
| ვან დერ სარი | 7 | პასკოლო | 7 |
| რაიციგერი | 7 | ჟანერე | 6 |
| ბლინდი | 7 | ვეგა | 7 |
| ბოგარდი | 8 | ენჩოსი | 7 |
| ზეედორფი | 3 | კენტენი | 6 |
| ვინტერი | 7 | პოტიგერი | 6 |
| დე ბური | 7 | სფორცა | 6 |
| ვიჩხე | 8 | ფოგელი | 7 |
| კრუიფი | 8 | გრასი | 6 |
| ბერხკამპი | 7 | თურქილმაზი | 7 |
| ჰუქსტრა | 8 | შაპუიზა | 6 |

## მუსლიმებს ევროპა ცივად შეხვდა

საგოლე მომენტი გააცუდეს, ჯერ ორჯერ საფეხს შეუჩნდა შაითანი და კარს ააცილებინა, მერე კაპიტან ოგიუზს, ბოლოს კი თურქთა ნაქებ ბომბარდირ ჰაქანს. პორტუგალიელები კი ზანტად მიმოდიოდნენ, ცდილობდნენ, უოფლოდ, „ცალი ფეხით", თან ტექნიკურად ეჯობნათ მეტოქისთვის, მაგრამ თურქები ჯიგრიანად დაუხვდნენ, ეგ იყოო შეტევათა დაბოლოება არ უვარგოდათ. პირველი ნახევარ საათს მეტოქენი ჯიუტად განაგრძობდნენ იმნაირ თამაშს, ზემოთ რომ ვახსენეთ, 31-ე წუთზე კი კონტაპრუწად შეკრეჭილმა რუი კოშტამ საოცარი რამ მოიმოქმედა: აბდულასა და რეჯეფს შორის ლამაზად გაძვრა და სა პინტუს ლამის ლანგრით მიართვა ბურთი, ამან კი, წინა მატჩში თვით შმაიხელი რომ გაამწარა, უნიათოდ მიარტყა ბურთს ფეხი და თურქები გადაარჩინა. სიტყვამ მოიტანა და, ჩვენი აზრით, მატჩის საუკეთესო მოთამაშემ რუი კოშტამ ამ მატჩში ბლომად საგოლე პასები კი არიგა; მაგრამ რად გინდა, ორივე პინტუ ერთმანეთს ეჯიბრებოდა გოლის ვერგატანაში. რუი კოშტას, მატჩის წინ რომ დაუჩივლია, ჩვენს ნაკრებს ჩემი ფიორენტინელი თანაგუნდელი ბატისტუტა რომ ჰყავდეს, ჩვენს ბედს ძაღლი არ დაჰყეფდაო, ლამის მთელი პორტუგალია შემოსწყრა, ჩვენი სა პინტუ არავის ჩამოუვარდებაო, მაგრამ მტყუან-მართალი ამ თამაშმა აჩვენა.

ფეხბურთი რომ საპროგნოზოდ ძნელი, მაგრამ ლოგიკური თამაშია, ამ მატჩმაც დაადასტურა, რადგან ღლეს ფაფხურით და ბრექით ვერავის მოუგებ. ეტყობა, პორტუგალიელები ცაში დაფრინავდნენ მატჩის წინ, აქაოდა, დანიელები დავჩაგრეთ და ეს თურქები ვინლა არიანო. ასე არ უნდაო და, თურქებმა რაც იცოდნენ და არ იცოდნენ, ყველაფერი გაიღეს, მაგრამ ხომ გაგიგიათ, „ნიჭი ძამიკო, ნიჭი"...

რუი კოშტამ მეორე ტაიმიც საგოლე პასების ჩამორიგებით დაიწყო, მაგრამ ჯერ ფიგუმ ვერ გაიტანა, მერე — პინტუებმა. გაბრაზებულმა პორტუგალიელთა მწვრთნელმა ოლივეირამ ერთი პინტუ, სა, კადეტეთი შეცვალა. „სელტიკის" თავდამსხმელი ჯერ ხეირიანად არც გახურებული იყო, გოლი რომ გავიდა: რუი კოშტამ ჩააწოდა, პაულინიომ დაარტყა, რაჰიმმა მოგერიება განიზრახა, მაგრამ აეჭრა და პარმელმა კოუტუმ შეუჩერებლივ შოუქნია. მეკარე რუსთუს მცველებიც უშლიდნენ, თანაც დარტყმა მეტად ძლიერი და ზუსტი იყო, ჰოდა, გოლიც გავიდა. პორტუგალიელთა თავკაცმა ახლა მეორე პინტუ გამოცვალა, მაგრამ გოლი აღარ გასულა.

მატჩის დარჩენილი ნაწილიც მოსაწყენი სანახავი იყო. თურქები კვლავ მთელი გულით ცდილობდნენ გოლის გატანას, პორტუგალელები კი — ნახევრით. დრო და თურქთა იმედები სწრაფად დნებოდა და, ეტყობა, თურქები ჯერ კიდევ ჩემპიონატამდე იყვნენ იმედგაცრუებას შეგუებულნი. სხვაგვარად ძნელი ასახსნელია მათი ამგვარი დათარსვა, განსაკუთრებით მატჩის ბოლოს, როცა გალათასარაელმა თუგაიმ მეტოქის საჯარიმოსთან ბურთი მიიღო. უცებ კომიკური სიტუაცია შეიქმნა, პორტუგალიელები ზედიზედ შემოეცალნენ თურქს, ეს კი ისე დაიბნა, ოციოდ მეტრიდან კარის ჩარჩოს ააცილა და ტრიბუნაზე კინაღამ მაყურებელი შეიწირა. მალე უნგრელი პულის სასტვენიც გაისმა და გოლის ავტორ კოუტუს სიხარულის ცრემლი წასკდა, მერე მაისური მეტოქეს გაუცვალა და რატომღაც თითები დაიკბინა. თურქები კი, ის დროა რუმინელებს შეუამხანაგდნენ და ჩარტერულ რეისზე იზრუნონ. თავიდანვე შავი სამკლაურებით გამოსულ თურქებს მალევე წაუვიდათ საქმე, თუმცა რა დიდი საგულთმისნო ეს იყო.

### „სარბიელის" რჩეული

**24 წლის რუი კოშტა მატჩის მონაწილე 28 ფეხბურთელს შორის ერთადერთი ნათელი წერტილი იყო და „სარბიელის" რჩეულადაც იგი ვალიარეთ. სხვები თუ სანხევროდ იხარჯებოდნენ, ეს გულიანად ირჯებოდა და პორტუგალიელთა ყველა შეტევის სულისჩამდგმელიც იყო. თანაგუნდელები რომ აჰყოლოდნენ, თურქები განადგურებას ვერ გადაურჩებოდნენ.**



კულტურის ცენტრი „ყაზბეგი"
გიწვევთ
ევროპის ჩემპიონატის მატჩების
დიდ ეკრანზე სანახავად!
მისამართი:
აბაშიძის № 26 (ყოფილი ბარნოვის № 128)
ტელ.: 294904

იყიდება
თეთრი, გამჭირვალე
ორგანული მინა
75 X 75
ტელ.: 95 22 56 (საღამოს)

კომპიუტერები
პრინტერები
მულტიმედია
პროგრამები
როგორც ნაღდი ანგარიშსწორებით ისე გადარიცხვით
გარანტია 1 წელი
შპს კომპუსი
გარანტიის შემდგომი მომსახურება;
☎ 93-91-03
37-12-96
თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი №16 (სასტუმრო „აფხაზეთის" პირდაპირ)
11 სართული, ოთახები 1104, 1105

### მრავალჟამიერ დაბადების დღეს! ... მრავალჟამს დაისჭარიით!



**ოლივერ კანი**

გერმანია

27

მეომარი, უშეღავათო, ძლიერი... გერმანელთა ნაკრების და „ბაიერნის" მეკარის ოლივერ კანის შემყურეს რაღაც ამგვარი სიტყვები მოგადგება ენაზე. კანი ის კაცია, ვინც მოედანზე (ალბათ ცხოვრებაშიც) თავისაზე დგას. ნაღდი გერმანელია, მოწესრიგებული, მიზანმიმართული. დაავალე ასეთს გამარჯვება და ის მიაღწევს.

დღეს ოლივერი 27 წლის მოიყარა. კარგია, ესე იგი, ჯერ ახალგაზრდაა და მის შეუპოვარ თამაშს კიდევ ბევრჯერ ვიხილავთ.



**მიქაელ ლაუდრუპი**

დანია

32

32 წლის წინ ზუსტად ამ დღეს მსოფლიოს ერთ-ერთი უპოპულარულესი ფეხბურთელი მიქაელ ლაუდრუპი დაიბადა. მიქაელი ის მოთამაშეა, რომლის მიმართ მეტოქეებიც კი სიმპატიით არიან გამსჭვალულები. ხვალ იგი ნაკრებში 89-ე თამაშს ატარებს. და, ალბათ, შეეცდება 36-ე გოლიც გაიტანოს. ვეტერანი ხვდება: ეს მისთვის ბოლო შეჯიბრებაა და ალბათ მის საწყალ ფეხებს კვლავ დიდი ჯაფა დაალგება. ვისაც ნამდვილი ლაუდრუპი ახსოვს, იქნებ ძნელადაც ეცნობა დანიის ნაკრების დღევანდელი კაპიტანი.

# ათენიდან ორთაჭალის ბაღში

მალე ევროპის ჩემპიონატი იწყება, ესე იგი, თემური ცოტა ხნით მაინც დაბრუნდება სახლშიო და...

სამმო აწრიალდა; როგორი შეხვედრა მოეწყოთ, სად შეხვედროდნენ... ბოლოს და ბოლოს, თბილისში მეუღლე კატარინა და ქალიშვილი ლინდა უნდა ჩამოეყვანა. „მოსამზადებელი პერიოდი" კი ისე სწრაფად მიილია, რომ ევროპის ჩემპიონატიც დაიწყო, სამი დღის შემდეგ კი ათენიდან თემურ ქეცბაია ჩამოვიდა.

– და, ისევ ის პრობლემა, სად, როგორ, როდის? ყველაფერი უნდა მოესწროს. თემურმა ყველა ნათესავი უნდა მოინახულოს ან პირიქით და, რაღა თქმა უნდა, მეგობრებიც არ დაივიწყოს. მოკლედ, სამმოს რომ ტვინი და გონება არ ემკულიტა, ფეხბურთისა და განსაკუთრებით თემურის დიდმა ქომაგმა და ერთ-ერთმა მეგობარმა ალექსი ჯიშკარიანმა ქეცბაია მეუღლესთან და ქალიშვილთან ერთად თავისთან, ორთაჭალაში მიიპატიჟა.

უკვე შეხვედრის ადგილზე მისულს, სამმოს თბილისში მყოფთა ნაწილი — გია ჯიშკარიანი, კახა გოგიჩაიშვილი, გოჩა ჩიქოვანი მეუღლეებითურთ, ბუნებრივია, თემურ ქეცბაიაც ოჯახით, სასაუბროდ და, ცხადია, მოსალხენად სრულ მზადყოფნაში დამიხვდნენ.

— საოცარი ხალხი ხართ ქართველები — მიფრთხილება მალე კატარინა ქეცბაია — მეგობრები იქაც ბევრი გვყავს. ათენისა და კვიპროსის კლუბების მოთამაშეები. ხშირად, თუ შეიძლება ორ კვირამდე შუალედს ასე უწოდო, მოდიან ჩვენთან. ჩვენც ვეწვევით ხოლმე საპასუხოდ, შეიძლება, ერთადაც გავისეირნოთ, მაგრამ ეს არის და ეს. თემურს ისინი ძალიან უყვარს, მაგრამ სულ იმას ამბობს, ჩემი ნამდვილი მეგობრები იქ, საქართველოში არიანო. იქ ჩვენ თითქმის ერთი ოჯახი ვართო.

თუმცა, კატარინას ეს რომც არ ეთქვა და თვითონ პირველად ვენახა დიდი ხნის მეგობრების კვლავ ერთად შეკრება, მიხვდებოდით, რომ ორთაჭალის უბნის ერთ-ერთ ეზოში იმ დღეს გვარით სხვადასხვანი, მაგრამ ერთი დიდი ოჯახის წევრები იყვნენ.

## მოდი, შევაჯამოთ

მეგობრების, განსაკუთრებით დიდი ხნის უნახავების დაშორება მცირედი დროითაც ძნელია. თუმცა მათი „კლანჭებიდან" თემური მაინც „გამოვიტაცე"...

— ხომ გახსოვს, სეზონის დასაწყისში ტრავმებმა გამაწვალა. თუმცა აეკმა პირველ წრეში არცთუ ურიგოდ იასპარეზა და მეორე ადგილზე გავიდა. მაშინ 7 გოლი გავიტანე და სპეციალისტებმა პირველი წრის საუკეთესო მოთამაშედ დამასახელეს. მეორე წრეშიც არ წაგვივიდა საქმე ცუდად არც გუნდს და არც მე. სპეციალისტების დიდი ნაწილი და ჟურნალისტები, თუ არ ვცდები, აქაც, თბილისშიც, დარწმუნებული იყვნენ, რომ ევროტურნირების ახალ გათამაშებაზე აეკი ჩემპიონთა ლიგაში ითამაშებდა... მაგრამ... არა, კარგად ჩავატარეთ სეზონი, თასი ავიღეთ. ფინალში ათენის კიდევ ერთი გუნდი „აპოლონი" 7:1 გავანადგურეთ, მაგრამ ცოტა დაგვაკლდა, ჩემპიონები ვერ გავხდით...

— **მაინც რა დაგაკლდათ?**

— ალბათ მხარდაჭერა. არა, გულშემატკივარს სულაც არ ვგულისხმობ. აქ სხვა რამაა. ყოველივემ საკმაოდ სერიოზული პრობლემები გაუჩინა გუნდსაც და თითოეულ მოთამაშესაც. მოკლედ, ადრე საქართველოში, სსრკ-ს ჩემპიონატი იყო ეს თუ შემდეგ უკვე ჩვენი, საქართველოსი, ვეტყოდით ხოლმე, დაგვჩაგრესო. თურმე, დაჩაგვრა ყველგან შესძლებიათ. საბერძნეთი ამის ყველაზე ცხადი მაგალითია.

— **დაჩაგვრაში რას გულისხმობ?**

— მთელი სეზონის მანძილზე „პანათინაიკოსს" უზარმაზარი მხარდაჭერა ჰქონდა. უპირველესად, მსაჯების და საბერძნეთის ფეხბურთის ფედერაციის მხრიდან. „პანათინაიკოსის" მფლობელი ბერძენ ბობოლებში საკმაოდ გავლენიანი პიროვნებაა. საკმაოდ მდიდარიც... თანაც, ევროპაზე წელს „პანათინაიკოსმა" კარგად იასპარეზა; გუნდის ხაზინაც. ბუნებრივია, გვარიანად შეივსო. დიდი ფული კი, ხომ იცი...

— **ზოგადად ყველამ იცის...**

— მთელი სეზონის მანძილზე ისევ და ისევ ამ და კიდევ სხვა მიზეზებით აეკის მიმართ მსაჯობა შესამჩნევად ცუდი იყო. დაწვრილებით რომ მოგიყვე, შორს წავალ და ეს არცაა ჩემი განსახჯელი. რაც შეეხება აეკისა და „პანათინაიკოსის" ურთიერთ-



შეხვედრებს — წელს ასეთი ოთხი იყო. ორი საბერძნეთის ჩემპიონატზე, ორიც თასზე. აქედან ორი მოვიგეთ, ერთში დავმარცხდით და ერთიც ფრედ ვითამაშეთ. თასზე ჯერ 3:1 მოვიგეთ, მერე 2:2 იყო. მოკლედ, „პანათინაიკოსი" თასის გათამაშებიდან გამოვთიშეთ. ჩემპიონატზე კი მოგება და წაგება გავცვალეთ. 10 აპრილს უნდა გამართულიყო თასის ფინალი. ბუნებრივია, ჩვენ მისთვის ვემზადებოდით, ამ დროს კი, უფრო სწორად, წინა დღეს შეგვატყობინეს, თასის ფინალი გადაიდო და ჩემპიონატის მატჩი ეთამაშეთო „პანათინაიკოსს"...

— **ამას ყველაფერს იქ როგორ ეხმაურებიან?**

— თუ შეიძლება გამოხმაურებად ჩავთვალოთ ის, რომ ჟურნალისტები სეზონის საუკეთესო გუნდად ასახელებენ აეკს, საუკეთესო მწვრთნელად კი ასევე აეკის მთავარ მწვრთნელს ბაევიჩს, მაშინ, მე მგონი, ყველაფერი ნათელია.

— **პირველი წრის საუკეთესო ფეხბურთელმა, მეორეში რაიმე სახეირო პრიზს ან ტიტულს ვერ გამოჰკარი ხელი?**

— სიმართლე გითხრა, ჯერ არ ვიცი. როგორც ყველგან, საბერძნეთშიც ეწყობა საუკეთესოს გამოსავლენი ჟურნალისტთა გამოკითხვა. მე მხოლოდ ის ვიცი, რომ სეზონის საუკეთესოდ „პანათინაიკოსის" პოლონელ ვარჟიხას ან მე დამასახელებენ...

— წამოსვლის წინ ერთ-ერთმა ჟურნალისტმა დანამდვილებით მითხრა, რომ წელს საუკეთესო შენ გახდები — საუბარში ჩაერია თემურის მეუღლე კატარინა, რომელიც აქამდე მოთმინებით უსმენდა ჩვენს ქართულ დიალოგს...

— პო, რა ვიცი, ჯერ არ გადაწყვეტილა, ისე, ბერძენი ჟურნალისტების ყველაზე დიდი მეგობარი შენ ხარ. შეიძლება, ახლა მართალსაც ამბობ...

— **საბოლოოდ, შენი ნადავლი როგორია?**

— 19 გატანილი გოლი, 14 ჩემპიონატზე, 5 თასზე. ისე, აეკის შემადგენლობაში ამპლუის შეცვლაც კი მომიხდა.

— **ვიცით, რომ საკმაოდ დიდხანს ტრავმები გაწუხებდა. ბოლოს და ბოლოს, მოირჩინე თავი?**

— ერთი კვირის წინ კოჭის ოპერაცია გავიკეთე. თბილისში უელსთან თამაშზე ვიტკინე ფეხი. აი, ეს ტრავმა იყო, დრო და დრო რომ მახსენებდა თავს და გადავწყვიტე, საბოლოოდ მომეშუშებინა. ნაკერიდან ძაფები ჯერაც არ ამოუღიათ.

— **ვარჯიშს როდის დაიწყებ და, საერთოდ, გვითხარი შენი კონტრაქტის ამბები.**

— ვარჯიშს, როგორც კი გუნდი შეიკრიბება, მაშინვე დავიწყებ. 4 ივლისს აეკი შვეიცარიაში მიემგზავრება შეკრებაზე. შემდეგ ვნახოთ... წინ საბერძნეთის ჩემპიონატი, თასი და თასების თასი მელოდება, მოკლედ, აეკთან კონტრაქტის ბოლო წელია და მინდა ნაყოფიერად გამოვიყენო. დღემდე აეკში სამი ლეგიონერი ვყავვით, ისინი წასვლას აპირებდნენ. მთავარი მწვრთნელი კი უკვე გადავიდა „ოლიმპიაკოსში".

— **მოკლედ, იმის თქმა გინდა, რომ ერთი წლის შემდეგ აეკში აღარ ითამაშებ. სად გინდა წასვლა? ჩვენ ისე ვიცით, რომ, შესაძლოა მომავალი სეზონიდან ბუნდესლიგაში ამომყო თავი?**

— სიმართლე გითხრა, ჯერ თავადაც არ ვიცი. ფეხბურთის თამაშს რომ ვიწყებდი, მილიონი პრობლემა მქონდა. ცუდად ნურავინ გამიგებს, სადაც მივედი, ყველგან მაგდებდნენ. ზოგს რა არ მოსწონდა, ზოგს რა. ასე იყო, ვიდრე კვიპროსზე არ აღმოვჩნდი. ახლა მენეჯერებისგან მოსვენება არა მაქვს. განსაკუთრებით გერმანიისა და საფრანგეთის რამდენიმე ძლიერი კლუბი აქტიურობს. ჩემგან ხელს არც ბერძნები იბანენ. მათ უკვე არა მხოლოდ ჩემთვის, არამედ საბერძნეთისთვისაც საკმაოდ სოლიდური თანხა შემომთავაზეს. ერთი სიტყვით, ჩემი მიწვევით დაინტერესება აშკარაა. თუმცა, ჩემი თამაშის საპოვნელად, უფრო ზუსტად და იქნებ უხეშადაც რომ ვქთვა — „კარიერისთვის" სხვაგანც მინდა ვცადო ბედი, თორემ ბერძნებთან კონტრაქტზე ხელს დღესვე მოვაწერდი.

— **ეს იმიტომ ხომ არა, რომ საბერძნეთის ჩემპიონატის დონე ბევრიც ვერაფერია?**

— სრულიადაც არა. ჯერ მხოლოდ ჩემპიონთა ლიგაში საბერძნეთის წარმომადგენლის გამოსვლა როგორი საქმეა. ბერძნული ფეხბურთის დონე ნელ-ნელა მაღლდება. დღეს ბევრი თვლის, რომ ყველაზე კარგ ფეხბურთს ინგლისში თამაშობენ. ამას მეც ვეთანხმები, მაგრამ ევროპის ჩემპიონატის პირველმა თამაშებმა ისეთი შთაბეჭდილება შექმნა, რომ ინგლისის ნაკრებში თამაშის გამძლოლი ერთი ფეხბურთელიც არ არის.

— **ევროპას დროებით შევეშვათ. შენი აზრით, საბერძნეთ-საქართველოს ნაკრებთა თამაშის შედეგი კანონზომიერი იყო?**

— სრულიადაც არა. ჯერ ერთი, საქართველოს ნაკრებმა არ ითამაშა ჩვეული შემადგენლობით, ბერძნებმა კი საბრძოლო შემადგენლობა გამოიყვანეს; მეორეც: თამაში 5 საათზე დაიწყო, ამ დროს კი საბერძნეთში 35 გრადუსი სიცხეა. ჩვენების უმეტესობა ასეთ სიცხეში თამაშს ან მიუჩვეველია, ან გადაჩვეული. ამ შეხვედრის სრული ვიდეომასალა ჩივაძეს ახლა ჩამოვუტანე. იქნებ, ჩვენს გულშემატკივრებს საქართველოს ტელევიზიით გვიან, მაგრამ მაინც მიეცეთ ამ მატჩის ხილვის შანსი.

— **რადგან ნაკრებზე ჩამოვარდა სიტყვა, მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევს გვერდს ვერ ავუვლით;**

— ადრეც გითხარი, წილისყრაში ბედი არა გვაქვს-მეთქი. თუმცა, ყურების ჩამოყრა რა ხეირს დაგვაყრის. ჩემი აზრით, საქართველოს ნაკრებს შესწევს უნარი გულშემატკივარს სასიამოვნო სიურპრიზები შესთავაზოს. მართლაც და, რატომაც არა? კარგი გუნდი გვყავს და შანსი ხელიდან არ უნდა გავუშვათ.

— **სეზონის ბოლოს ქართველი ჟურნალისტები სწორედ ამ გუნდის ანუ ნაკრების წევრებს შორის ვარჩევთ ხოლმე, თუ ვინ არის უფრო...**

— მე არ ვთვლი, რომ ამან შეიძლება რამე შეცვალოს ან ჩვენს თამაშში ან ჩვენს მეგობრობაში. წელსაც გიორგი ქინქლაძემ გამისწრო ხომ? მეც ვიცი, რომ გიორგი ძალიან კარგი ფეხბურთელია და მან ეს დაიმსახურა. მაგრამ ზოგჯერ ზოგიერთი ჟურნალისტის უმეცრება მაკვირვებს. შენს კოლეგებს იქნებ ეწყინოთ ჩემი ეს ნათქვამი, ამიტომ ხამაგალითოს ვიტყვი და თავად განსაჯონ: კახი ცხადაძე ჩემი ძველი მეგობარია და ის ამას გაიგებს, მაგრამ რა უნდა მოსთხოვო იმ ჟურნალისტს, რომელიც საუკეთესოდ ცხადაძეს ასახელებს, რომელსაც წელს შეიძლება ითქვას არც უთამაშია. ძალიან ვთხოვ ყველას, ცუდად ნურავინ გამიგებს, უბრალოდ, როცა ჩვენგან ითხოვთ ჟურნალისტები, საკუთარ თავსაც მოსთხოვეთ ხოლმე...

— **მართლა, ჟურნალისტებს ისევ „ემალები"?**

— კი არ ვემალები, უბრალოდ, ის კაცი არა ვარ, ზედმეტი ყურადღება მივიქციო. მირჩევნია საქმე ვაკეთო. მთელი ამ ხნის მანძილზე თბილისში სატელეფონო ინტერვიუსთვის შენი და „სარბიელის" ხათრით ერთხელ დავრეკე ისე. თქვენ იქაურებთან შედარებით ანგელოზები ხართ. თამაშის კი არა, ტაიმის დამთავრებას არ გაცლიან, ისე გეტაკებიან მიკროფონით. ვისაც ფეხბურთზე შესტკივა გული, მათთან საუბარი მიხარია ხოლმე. მაგრამ როგორებიც არიან იცი? რომელიმე ფეხბურთელი ფულით რომ დააინტერესებს, შემდეგ მარტო მათზე წერენ გაუთავებლად. რეკლამა კი ბევრის მაქნისია. თუმცა, ამ ხალხმაც რა ქნას. იმდენი სპორტული ჟურნალ-გაზეთი გამოდის საბერძნეთში, რაიმე განსხვავებული იმათაც ხომ უნდა დაბეჭდონ?

— **სწორედ იმ სატელეფონო ინტერვიუში მითხარი, რომ არც ზედმეტ ბალიშს ეძებ და არც სადმე სხვა ადგილს აფარებ თავს, რათა ბავშვის ტირილი არ გაიგო. ბოლო ხანსაც ასეა თუ!..**

— რა თქმა უნდა, ასეა. ექვსი თვის მანძილზე ლინდას ძალიანაც არ შევუწუხებივართ. თუმცა, სამივე თვე ბავშვის გაზრდაში კატარინას დედა გვეხმარებოდა...

აი აქ იყო, თემურთან საუბრის შეწყვეტა რომ ვარჩიე უაზრობად ჩავთვალე, ევროპის ჩემპიონატის პროგნოზიც მეკითხა, რადგან, როგორც წესი, თემურ ქეცბაია პროგნოზებისგან თავს იკავებს, თანაც...

## ცოტაც, ოჯახური

თუმცა არა, თემურის „მილიონებზე" შესახებ იმდენს ჭორაობენ, რომ ერთი, ბოლო ჭორის ისტორია, ყველ შემთხვევაში იმისა, რომელიც მხოლოდ ახლახან გავიგე, მაინც გადავწყვიტე გამერკვია და ამით ყველას ინტერესი დამეკმაყოფილებინა...

— **თემურ, ამბობენ ლონდონის ცენტრში საკუთარი ბინა იყიდათ.**

— ბინა მე არ მიყიდია და არც ჩემია. ის ბინა დიდი ხანია კატარინას მშობლების საკუთრებაა. ახლა, თუ ევროპის ჩემპიონატზე რომელიმე ხეირიან თამაშზე მოვახერხებ ბილეთების შოვნას, მაშინ ინგლისში სასტუმროს მოვალეობას კატარინას მშობლების სახლი გაგვიწევს.

ამით თემურთან საუბარი ნამდვილად დავამთავრე და უკვე „საჭოროდ" კატარინას მივუბრუნდი. ბუნებრივია, თემური მეგობრებთან გავისტუმრეთ...

— ჩვენს ურთიერთობაში სწორედ მამაჩემის სახლმაც ითამაშა დიდი როლი — ამბობს კატარინა. — როცა თემური პირველად ჩამოვიდა კვიპროსზე, სხვა ფეხბურთელებივით ბინა იმ კორპუსში დაიდო, რომელიც მამას ეკუთვნოდა. ის ზემოთ ცხოვრობდა, იქვე, ქვედა სართულზე, მე ვსახლობდი. ბუნებრივია, როგორც ყველა მეზობელი, ჩვენც ხშირად ვხვდებოდით. შემდეგ გავიცანით ერთმანეთი და მალე დავმეგობრდით. ჩვენმა მეგობრობამ ოთხი წელი გასტანა. შემდეგ რაც მოხდა, იცი.

— **ცნობილი ფეხბურთელების ცხოვრება ბევრს აინტერესებს. თქვენს ყოფაზეც გვითხარი რამე.**

— ათენში ჩვეულებრივზე ჩვეულებრივად ვცხოვრობთ. სამოთახიანი ბინა გვაქვს. რაც დელა კვიპროსზე გაბრუნდა, ყველაფრის გაკეთება ჩვენ გვიწევს. არ მეგონა, მაგრამ ბერძნები ძალზე მუდო ხალხი ყოფილა. ჩემები კვიპროსზე ისეთივე მხიარულები, თბილები და ხმაურიანები არიან, როგორც ქართველები. ათენში კი პირიქით, ჩაკეტილი ხალხია. ასე რომ, წყნარი ოჯახური ცხოვრებით ვცხოვრობთ.

— **მეგობრები?**

— გვყავს ცოტა. მოდიან ხოლმე, მივდივართ სასეირნოდ. უფრო ხშირად კვირაობით თემურს და მე გვიწევს ან კინოში, ან ბარში ან სადმე გასეირნება...

— **ადრე თემურმა გვითხრა, კვიპროსზე კერძები მეგრულებისგან დიდად არ განსხვავდებაო, თუ გასწავლა რაიმეს მომზადება?**

— საერთოდ, ჭირვეული მჭამელი არ არის; რასაც მისცემ, თანახმაა. ისე, ქართულ სამზარეულოსაც ვიცნობ უკვე. სხვათა შორის, ლომის გაკეთებაც ვისწავლე და კიდევ იმის... (კატარინამ „იმის" ვეღარ ახსნა)... ქართულს რომ ვისწავლი, შემდეგ უფრო ადვილად მივახვედრებ.

— **კი მაგრამ, ქართული ხომ გესმის, რატომ არ ლაპარაკობ?**

— ვიდრე თემური ცოლად მომიყვანდა, მასწავლიდა. ახლა აღარ მასწავლის. ასე მეუბნება, იმენი ტვინი არ გაქვს, რომ ქართული ისწავლოო. ვიცი, რომ „თემო ჩემი ქმარია", „მე ვარ ცოლი", „ლინდა შვილი, კარგია", „მადლობთ", „გამარჯობა"... პო, კიდევ, იცი, რა ვისწავლე? ღამით ბავშვი რომ ატირდება, ზოგჯერ, როცა დაღლილი ვარ, თემურს გავკრავ ხოლმე მხარს. ახლა შენ მოუარე-მეთქი. ისიც წამოხარბაცდება, თვალების ფშვნეტით მიდის პატარასთან, ხელში აჰყავს და ქართულად ეუბნება: „რაო, ჭუკიკო?" მე ხომ ვიცი, რომ თემური „მამაა". მეცინება ხოლმე. ისე, ბერძნულის გარდა კარგად ვლაპარაკობ ინგლისურად და იტალიურად. ქართულსაც ვისწავლი აუცილებლად და მეგრულსაც. თვითონ თემურმა ბერძნული ისე კარგად ისწავლა, რომ ათენში, ვიდრე გვარს და სახელს გაიგებდნენ, ყველას ბერძენი ეგონა.

— **ფეხბურთში ერკვევი?**

— თამაში არ გამიცდენია. კინაღამ სტადიონზე ვიმშობიარე. ეს ხუმრობით, რა თქმა უნდა. ერთხელ კვიპროსზე „ანორთოსისი" და თბილისის „დინამო" თამაშობდნენ. მე თბილისისკენ ვიყავი და ყველა კარგი შეტევა მახარებდა. ერთ-ერთი ასეთის შემდეგ გავიხედ-გამოვიხედე, მეუცნაურა, ყველა რომ ჩუმად იჯდა ჩემს გარშემო და მივხვდი, რომ გვერდით კვიპროსელები მესხდნენ... ჯავჩუმდი.

— **თემურის საქმეებში ერევი?**

— გამიგია, სპორტსმენების ცოლები „დარბიან", „ჩალიჩობენ"... რა ვიცი, შენც იცნობ, თემური სხვანაირი პიროვნებაა. ამ თვისებების გამოც შემიყვარდა. აი, მხოლოდ მაშინ ვერევი მის საქმეში, როცა ჟურნალისტებს ემალება...

— **თბილისმა როგორი შთაბეჭდილება დატოვა?**

— გავვოცდი. შარშან დანგრეული იყო. წელს გალამაზებულა. კაფეები, ბარები, ღამის დისკოთეკები. ნელ-ნელა ყველაფერი კალაპოტში დგება. თემურს ისიც კი ვუთხარი, მომავალ წელს აქ სუპერ ქალაქი დაგვხვდება-მეთქი. წელს კი, სიმართლე გითხრა, ცოტა შიშით მოვდიოდით. ექვსი თვის ლინდასთვის საბერძნეთიდან ძალიან ბევრი „პამპერსები" და საკვები ჩამოვიტანეთ. თურმე რად გინდა? მომავალ წელს კი სხვანაირად მომზადებულნი ჩამოვალთ...

ეს იყო და ეს. სამმო კი დიდხანს ეთამაშებოდა პატარა ლინდას, რომელიც დღეის პატარა ასლია. თუმცა, თემური თვლის, რომ ლინდა მამასაც ჰგავს. რით? ბევრი იფიქრა და ბოლოს სიცილით, თმებითო, გვიპასუხა.

**თამუნა ჯიშკარიანი**


# სარბიელი
## ტოტალიზატორი "CROCO"

ევროპის ჩემპიონატი

15 ივნისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| შოტლანდია - ინგლისი | | 5,3 | 3,3 | 1,3 |
| | 1:0 | 2,0 | 3,4 | 2,0 |
| საფრანგეთი - ესპანეთი | | 2,3 | 2,4 | 2,4 |

16 ივნისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| რუსეთი - გერმანია | | 5,3 | 3,3 | 1,3 |
| | 1:0 | 2,0 | 3,4 | 2,0 |
| ხორვატია - დანია | | 1,8 | 2,8 | 3,0 |

ფსონების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

### ევროპის ჩემპიონატის მოგების ფსონები

| | | | |
|---|---|---|---|
| ინგლისი | 2,0 | დანია | 20,0 |
| იტალია | 2,2 | პორტუგალია | 12,0 |
| გერმანია | 2,5 | რუმინეთი | 20,0 |
| ჰოლანდია | 5,0 | შოტლანდია | 20,0 |
| ესპანეთი | 6,0 | ბულგარეთი | 20,0 |
| საფრანგეთი | 6,0 | ჩეხეთი | 75,0 |
| ხორვატია | 8,0 | შვეიცარია | 50,0 |
| რუსეთი | 12,0 | თურქეთი | 100,0 |

ჯგუფიდან გასვლის ფსონები ადგილზე დააზუსტეთ

ფსონები მიიღება ყოველდღე კინოთეატრ „რუსთაველის" ფოიეში 13-დან 16 საათამდე
საღამოს საათებში „კროკო" იმუშავებს კინოთეატრის მცირე დარბაზში


## დონორი „დინამო"

გუშინდელ „სარბიელში" გვეწერა, „დინამო-2"-ის მოთამაშეები გოჩა ტრაპაიძე და ზურაბ არჩვაძე „ბათუმში" გადავიდნენ, გიორგი გახოკიძე „კოლხეთში", ეს ინფორმაცია კი „დინამოს" დირექტორატის წევრმა პეტრე ქოჩაკიძემ მოგვაწოდა... ყველაფერი სწორია გარდა ბატონი პეტრეს თანამდებობისა. „დინამოს" ვიცე-პრეზიდენტმა რომან შოთაძემ გვითხრა ამის შესახებ. გარდა ამისა, მან გვაცნობა, რომ ფოთელებს გიგა ვადელიას შეძენაც სდომებიათ, მაგრამ თავად ფეხბურთელთან კონტრაქტის დეტალებზე ვერ შეთანხმებულან. „მარგვეთი" ალბათ მამუკა წერეთელს წაიყვანს. ამ გუნდს დათო ჭიჭველიშვილის გადაყვანაც სურს, თუმცა ამ მოთამაშეს თასების თასზე გამსვლელი ბათუმიც ეპატიჟება. აღსანიშნავია, რომ „დინამო" ამ ფეხბურთელებს მხოლოდ ერთი წლით უშვებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ფორმულა 1

## VIII ეტაპი
## კანადის დიდი პრიზი

მონრეალი. ჟილ ვილნევის სახელობის ტრასა. 16 ივნისი

სიგრძე 4,421 კმ. დისტანცია 69 წრე — 305,049 კმ

კვალიფიკაციის რეკორდი: პროსტი (უილიამს-რენო, 1993) 1.18,987 (201,907 კმ-სთ). უსწრაფესი წრე (რბოლისას): შუმახერი (ბენეტონ-ფორდი, 1993) 1.21,500 (196,564 კმ-სთ). გამარჯვებულის საუკეთესო შედეგი: პროსტი (1993) 1:36.41,822 (189,667 კმ-სთ)

შარშანდელი შედეგები. კვალიფიკაცია: შუმახერი (ბენეტონ-რენო) 1.27,661 (182,668 კმ-სთ). უსწრაფესი წრე (რბოლისას): შუმახერი 1.29,174 (178, 841 კმ-სთ). გამარჯვებული: ალეზი (ფერარი) 1:46.31,333 (172,296 კმ-სთ)

### ისტორია

კანადის ეტაპი მსოფლიო ჩემპიონატებში 1967 წლიდან იმართება. პირველად გაიმარჯვა ჯეკ ბრებჰემმა („ბრეჰემი"). 1978 წლებში ეწყობოდა „მოსპორტის" (1967, 69, 71-74, 76-77) და „მონ-ტრემბლანის" (1968, 70) ტრასებზე, მერე კი კუნძულ ნოტრდამის ტრასაზე გადავიდა. კანადაში ყველაზე მეტჯერ — სამჯერ ბრაზილიელ ნელსონ პიკეს გაუმარჯვნია (1982, 84, 91).




### საგულისხმო ამბები

1972 წელს „ფორდის" ძრავიანმა მანქანამ გაიმარჯვა 50-ედ, ჯეკ სტიუარტმა კი — მე-20-ედ.

1978 წელს ნოტრდამის ნათლობის რბოლა მოიგო ჟაკ ვილნევის მამამ — ჟილმა. ოთხი წლის შემდეგ, ბელგიის დიდი პრიზის დროს ჟილ ვილნევი დაიღუპა და მონრეალის ტრასასაც მისივე სახელი ეწოდა.

1982 წელს პირველსავე წრეზე ავარია შეემთხვა და დაიღუპა რიკარდო პალეტი („ოსელა").

1987 წელს კანადის დიდი პრიზი არ გათამაშებულა.

1989 წელს კოკისპირულ წვიმაში რბოლას ერთბაშად 19 პილოტი, მათ შორის სენაცა და პროსტიც გამოეთიშა, მენსელი და ნანინი კი სტარტის წესების დარღვევისათვის მოიხსნენ.

1991 წელს სტარტიდანვე მენსელი ლიდერობდა, მაგრამ ბოლო წრეზე, როცა პილოტი უკვე ზეიმობდა და მაყურებლებს ესალმებოდა, ბრიტანელს „უილიამსმა" უმტყუნა და გამარჯვებაც 40 წამით ჩამორჩენილ პიკეს დარჩა.

1994 წელს „გუდიარის" საბურავებით მე-300 გამარჯვება აღინუსხა.

### როგორ მართავენ მანქანას

ტრასა საკმაოდ სწრაფია. ჩქარ, სწორ მონაკვეთებს ტექნიკური მოსახვევები ენაცვლება. დიდი ჯაფა ადგება მუხრუჭებსა და გადაცემათა კოლოფს. პილოტებს თითო წრეზე 39-40-ჯერ ანაც საშუალოდ ყოველ ორ წამში უწევთ სიჩქარის გადართვა. რბოლის განმავლობაში ეს პროცედურა 2700-ჯერაა შესასრულებელი.

„ტირელ-იამაჰას" ფინელი პილოტი მიკა სალო ბოლიდს ისე ამზადებს, რომ ტრასა შემდეგი განრიგით გაიაროს: სტარტ-ფინიშის სწორი — 6 გადაცემით; მონაკვეთის ბოლოს სიჩქარე 275 კმ-სთ-დან 80-მდე ეცემა (2 გადაცემა); სენას მარჯვენა მოსახვევი 2 გადაცემით (60 კმ-სთ) უნდა იქნას გავლილი; შემდეგ კვლავ აჩქარება 240 კმ-სთ-მდე (6 გადაცემა) და მომდევნო მოსახვევის 3 გადაცემით (100 კმ-სთ) გავლა; ისევ აჩქარება 5 გადაცემამდე (230 კმ-სთ), მარცხენა მოსახვევის 85 კმ-სთ (3 გადაცემა) გალევა; მის მომყოლ მარჯვენა მოსახვევში სიჩქარის 105 კმ-სთ-მდე გაზრდა, ხოლო მოხვევის მერე აჩქარება 280 კმ-სთ-მდე (6 გადაცემა), კვლავ მკვეთრი დამუხრუჭება 3 გადაცემამდე, მოსახვევის გავლა ამავე გადაცემით, ისევ სიჩქარის მატება 280 კმ-სთ-მდე, მომდევნო მკვეთრი მოსახვევის წინ მეორე გადაცემაზე გადართვა და მისი 60 კმ-სთ სიჩქარით დაძლევა; აჩქარება 5 საფეხურამდე (250 კმ-სთ) და S-ისებრი მოსახვევის წინ კვლავ 3-მდე დამუხრუჭება, აჩქარება 6 გადაცემამდე და მომდევნო S-ის 5-ით (220 კმ-სთ) გავლა და სტარტის სწორზე გაჭრა.

### პროგნოზი

ამ ეტაპით ჩემპიონატის პირველი ნახევარი მთავრდება. ლიდერი ჰილი გამარჯვებას ეცდება, მით უმეტეს, რომ ბოლო ორი რბოლა ვერ დაასრულა. არც ვილნევი უნდა იყოს ჯაბანი — იგი ხომ შინ, თანაც მამამისის სახელობის ტრასაზე ასპარეზებს. გასათვალისწინებელია წინა ეტაპზე გამარჯვებული შუმახერის ამბიციებიც — მისი „ფერარი" დღითიდღე უმჯობესდება. ალეზიც ცდას არ დააკლებს, რათა შარშანდელი შედეგი გაიმეოროს. მას ალბათ არც თანაგუნდელი ბერგერი ჩამორჩება. ერთი სიტყვით, ფიცხელი შეჯიბრია მოსალოდნელი.

ალეკო ჭაბუკიანი

თამაში სინისთვის არ ყოფილა. თუ რატომ, დანამდვილებით არაა ცნობილი. ყველაზე სარწმუნო ვერსიით, „ქორების" უფროსობა გაებუტა სინის დამწესებელს, აქაო და შარშან, ზამთრის პირს, „გუმარი" რატომ არ აიძულე, ჩვენთან რომ ეთამაშაო.

სხვაფრივ, „ქორებმა" ამერის საუკეთესო გუნდის სარგო გარდამავალი ჯილდო უსიტყვოდ დაიმსახურეს, მაგრამ რაკი მფლობელი არ გამოუწვევიათ, ამათ სინი სტადიონზე არ მიუტანიათ და თუმც წააგეს, წესის თანახმად, კვლავ მის მფლობელებად რჩებიან.





# «ქორებმა» სინი დაიმსახურეს

ბადრი კეთილაძის ფოტოები

მარცხნივ: ბებერი ხარები — მალხაზ ჭეიშვილი და რეზო ჯაფარაშვილი

თამაზ ხუადე აქამდეც მშვენივრად ხტებოდა, ახალი წესების წყალობით კი თანაგუნდელები ხელსაც რომ აშველებენ, ვაი, მეტოქის ბრალი!

## საქართველოს XXIX პირველობა

### „ა" ჯგუფი

12. VI. ქუთაისი

**აია 70-15 ლელო**
(26) 11ლ, 6გ, ს — 2ლ, გ, ს (3)

**გელათი 16-3 აზოტი**

ტრანსპორტი, ეტყობა, მხოლოდ ქუთაისის გუნდებს როდი ღალატობთ. ამ ორი თამაშის სამსაჯოდ დავით კილასონია და გოჩა აბაშიძე ქუთაისს პირველის მანქანით გამგზავრებულან, მაგრამ ხაშურთან ავტომობილს ლვედი გაწყვეტია. პოდა, რაკილა მატჩებს ველარ ჩაუსწრებდნენ, უილბლო მგზავრებს ავტობუსებით შინისკენ გაუწევიათ: კილასონია სენაკს წასულა, აბაშიძე კი — თბილისს. ამის გამო აია — ლელოს თამაში მასპინძელთა მწვრთნელ რამაზ სვანიძეს უმსაჯია, გელათი — აზოტის შეხვედრა კი ქუთაისური რაგბის ვეტერან ნოდარ ჭეიშვილს.

13. VI. ვაკე

**გუმარი 32-14 დინამო**
(32) 4ლ, 3გ, 2ს — 2ლ, 2გ (0)

იმსაჯა გივი კურატიშვილმა. დინამოს აქამდე, ერთი ლელო რა იყო, ისიც ვერ გაეტანა რვა თამაშში, მაგრამ ამჯერად არათუ ნავსი გატეხა, მეორე ნახევარი მშრალი ანგარიშითაც კი მოიგო.

**ქორები (13)16-12(6) ყოჩები**

მსაჯი (დრო): გოჩა აბაშიძე (40+42)

ქორები: ასათიანი; კვაჭანტირაძე (ჩაჩუა, 41), ალანია, ჩხენკელი, ძნელაძე; წეველიძე, კვინიხიძე; კვანტალიანი, ირემაძე, მაჭუტაძე; კახიანი (გიუნაშვილი, 77), ხუადე; დგებუაძე, კაცაძე, ჯაფარაშვილი. — ლ: ჯაფარაშვილი (11); გ, ა (16) და 2ს (21, 52): წეველიძე

ყოჩები: ენუქიძე; ლიპარტელიანი, საკანდელიძე, ბარძიმიშვილი, წიკლაური; ტეფნაძე, ჭეიშვილი; ჩიქავა (ფირიაშვილი, 62), ჭავჭავაძე, ი. ჭელიძე (ახვლედიანი, 71); გუშარაშვილი (ა. ჭელიძე, 41), სულთანიშვილი (გაგნიძე, 63); ლეჟავა (ცხვედიანი, 74), ურუშაძე, ტყეშელაშვილი. — 4ს: ურუშაძე (22), ტეფნაძე (37, 55, 66)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ლ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ყოჩები | 9 | 8 | 0 | 1 | 257: 56 | 35- 3 | 16 |
| გუმარი | 9 | 8 | 0 | 1 | 316: 63 | 47- 4 | 16 |
| აია | 8 | 6 | 0 | 2 | 280: 36 | 34- 4 | 12 |
| ქორები | 8 | 5 | 0 | 3 | 167: 76 | 19- 5 | 10 |
| გელათი | 9 | 3 | 1 | 5 | 89:181 | -25 | 7 |
| აზოტი | 9 | 3 | 1 | `5 | 91:140 | 12- | 6 |
| ლელო | 9 | 1 | 0 | 8 | 81:275 | 9-41 | 2 |
| დინამო | 9 | 0 | 0 | 9 | 32:433 | 2-65 | 0 |

ყოჩები გუმარს პირად შეხვედრაში მოგების წყალობით უსწრებენ.

შემდეგი ტური ორშაბათს, 17 ივნისს გაიმართება. თამაშობენ: აზოტი — აია, ლელო — ყოჩები, დინამო — გელათი და ქორები — გუმარი

**რაგბის კავშირის** ვიცე-პრეზიდენტ ზაზა ქასაშვილს იდეადა აქვს საქართველოს ჩემპიონატის აფერადება. მისი გეგმით გუნდებიცა და მსაჯებიც ლამაზად უნდა შეიმოსონ. აზრი გუნდებსაც აუტაცებიათ. „ყოჩებს" აქამდეც მოხდენილად ეცვათ, ახლა კი „ქორებსაც" უშოვიათ ცისფერ და თეთრზოლიანი კვართები.

თამაშს დიდი ქვეტექსტი ჰქონდა. „ყოჩები" დაუმარცხებლად ლიდერობდნენ, მაგრამ „ქორებს" მიაჩნიათ, რომ პირველ წრეში მათთან მსაჯის შეცდომის გამო წააგეს. ამიტომ იყო, ძალიან რომ დარაზმულიყვნენ. „ყოჩები", პირიქით, მოდუნებული და არეული ჩანდნენ. ამდენმა გამარჯვებამ, ეტყობა, თავბრუ დაასხა ჯეელ გუნდს, ჯერ კიდევ შარშანწინ სათვალავში რომ არავინ აგდებდა.

თავი გამოიჩინეს ექს-ლოკომოტიველმა ვეტერანებმა. „ქორებს" ასეთი სამი ჰყავდა — რეზო ჯაფარაშვილი, თამაზ ხუადე და გია გიუნაშვილი, „ყოჩებს" — ერთი: მალხაზ ჭეიშვილი, საშვიდკაცო ნაკრების მწვრთნელი და რაგბის კავშირის პრეზიდიუმის წევრი რომაა ამავდროულად. ამ ბებერ მორაგბეთა თამაშის შემხედვარე კიდევ ერთხელ დარწმუნდებოდი, რარიგ მართალია ანდაზა, ბებერი ხარისა რქებიც ხნავსო.

ჭეიშვილმა პირველსავე წუთზე შეუტია და ჯარიმაც მოიპოვა, მაგრამ ამაოდ. მერე ათი წუთი ღირსშესანიშნავი არაფერი მომხდარა. ბოლოს, ახალი თაობის ერთ-ერთმა უკეთესმა წარმომადგენელმა — „ქორმა" კახა ალანიამ ჯერ განდაგან, მერე კი პირდაპირ გაიქროლა და თუმც შებოჭეს, მისიანებმა მაინც შეინარჩუნეს ბურთი, მერე კი იქით ძალთა სიმრავლეც გამოიყენეს — ჯაფარაშვილი მეტოქეს დაეჯახა და ლელო ასე გაიტანა 7:0.

მე-14 წუთზე ჯაფარაშვილმა და კვინიხიძემ ისევ გააქცუნეს ალანია. „ქორი" მორკინალები მიეძალნენ მეტოქეს, მესამე ფაზაში კი წეველიძემ არეკნი დაკრა 10:0.

მე-17 წუთზე გეგი წიკლაური სასწაულად გაექცა უამრავ „ქორს", არც დაიბნა და რატი ურუშაძეს მისცა ბურთი, ვინაც ლელო გაიტანა, მაგრამ თანამსაჯმა — „ყოჩების" თავკაცმა გელა მიქაბერიძემ თავის ალსაზრდელს ლელო არ ჩაუთვალა, აქაო და კიდეზე გადახვედიო. ასეთი რამ ჩვენში აქამდე არ გვინახავს.

„ქორებმა" ბურთი მეტოქის 22-ისკენ დაარტყეს, იქ კი „ყოჩთა" მცველი ორჯერ მწარედ შეცდა, რაც ჯარიმით დასრულდა. „ქორები" 13 ქულით დაწინაურდნენ, მაგრამ თამაშის განახლებისთანავე თავისივე კარის წინ დაჯარიმდნენ და სხვაობა ისევ 10 ქულამდე შემცირდა.

„ყოჩები" გონს ნელ-ნელა მოეგნენ, მაგრამ მეტოქის ლელოსთან დანიშნულ დერეფნიდან ვერაფერს გამორჩნენ. მერე „ქორებმა" ზედიზედ სამი რეიდი განახორციელეს და გასატანი ჯარიმაც მოიპოვეს, მაგრამ ამაოდ, რასაც მერე ჯაფარაშვილისა და ყოფილი ხელბურთელის — ვასიკო კაცაძის კარგი იერიში მოყვა.

35-ე წუთიდან „ყოჩებს" მრისხანე იარაღი — აბრაგანი გაახსენდათ. გოჩა ბარძიმიშვილმა ბურთი მაღლა ააგდო, მერე ჭეიშვილმა შეუტია, მორკინალთა ძალისხმევამ კი ჯარიმა მოიტანა. შარშანდელი სეზონის საუკეთესო ბომბარდირ ბესო ტეფნაძეს მზე სახეში ანათებდა, მაგრამ მოედნის ნაპირიდან მაინც გაიტანა 6:13.

მეორე ნახევარი „ყოჩებმა" ისე დაიწყეს, როგორც პირველი დაამთავრეს, მაგრამ ზომა და შეთამაშება აშკარად ღალატობდათ. „ქორთაგან" ალღოიანი თამაშით თავი გამოიჩინა ასათიანმა, აქამდე ერთი მესამეხარისხოვანი გუნდიდან მეორეში რომ გადადიოდა. ამასობაში „ქორთა" შერკინებამ ათი მეტრი ათრია მეტოქე, ამათ კი ველარ გაუძლეს და ადგნენ. აქ გამოჩნდა ახალი წესების სიმუხთლე: დაინიშნა საჯარიმო, რომელიც წეველიძემ ზუსტად დაარტყა, მაგრამ მერე და მერე სამიზნე წაუხდა.

„ყოჩთა" აბრაგანები გაგრძელდა. ტეფნაძემ ორი საჯარიმოც შეაგდო და 15 წუთი რომ დარჩა, სხვაობა 4 ქულამდე შეამცირა. ამ ორ გოლს შორის ბარძიმიშვილმა კარგად გაინავარდა და მეტოქეებიც კისერში სწვდნენ, მაგრამ საქმეში ჩაერია „ქორთა" თანამსაჯი და მწვრთნელი თემურ ბენდიაშვილი, ვინაც მსაჯს საჯარიმო დერეფნით შეაცვლევინა, აქაო და ბურთი კიდეზე გადავიდაო.

ბენდიაშვილის კეთილსინდისიერებაში ეჭვი არავის შეუტანია. ამასთან, იგი კიდიდან იმ მაყურებლებზე უკეთ შეაფასებდა ვითარებას, თამაშს ერთობ შორს, კრიკეტის ოვალის ყაიდაზე გაშენებული ტრიბუნიდან რომ ჭვრეტენ, მაგრამ სამომავლოდ უმჯობესი იქნება, თუ თანამსაჯებიც ნეიტრალური იქნებიან და ხელში ცხვირსახოცების ნაცვლად ალმები ეკავებათ. ამით მათ განაჩენს დამაჯერებლობა შეემატება.

ამ დროისთვის „ყოჩებს" უკვე ხუთი მორკინალი შეეცვალათ, „ქორებს" კი ორი საჯარიმოც გასცუდებოდათ. მერე ასათიანმა ორჯერ ჩაჭრა „ყოჩთა" სახიფათო გადაცემები, რისთვისაც დაჯარიმდა. გამწარებულმა ლიდერებმა კარში დარტყმის ნაცვლად 75-ე წუთზე გაათამაშეს ბურთი, მაგრამ ჯარიმა აიკიდეს, ბოლო წუთზე კი აბრაგანი იხმარეს და მეტოქის ლელოში შერკინებაც მოიპოვეს.

აქ მოხდა ის, რამაც დაამტკიცა, რომ „ქორები" მეტად იმსახურებდნენ გამარჯვებას. კრიტიკულ ვითარებაში მათ მეტოქის შეგორებაზე მოიგეს შერკინება ანუ ე. წ. თაითჰედი, ჯაფარაშვილმა, გიუნაშვილმა და ძნელაძემ კი თავისი 22-დან შეუტიეს. მერე კიდევ იყო გაწევ-გამოწევა, რამაც დიდებული მატჩი, რა თქმა უნდა, არ დაამშვენა.

ზაზა ფხაკაძის სტატისტიკა
გოჩა ლაბაძის მოსაზრებანი

## დამრტყმელთა შეჯიბრი




სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოდის ყოველდღე, კვირის გარდა. ინდექსი 66 441

მთავარი რედაქტორი
ზურაბ მეძველია

რედაქტორი
თამაზ მიგრიაული

სარედაქციო კოლეგია:
ილია ბაბუნაშვილი
ვახტანგ ბზიკაძე
ზაალ გიგინეიშვილი
(მთავარი რედაქტორის მოადგილე)
მამუკა კვარაცხელია
მერაბ რატიშვილი

კომერციული დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე

გამომცემელი
ზურაბ ფოცხვერია

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი"
რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 42, II კორპუსი, IV სართული. წერილებისა და სხვა საფოსტო გზავნილებისთვის: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208.
ტელეფონი: 39 48 29